

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №53**

**22 სექტემბერი 2023 წ.  
12:00 სთ**

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

**კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე**

**კომისიის წევრები-** ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, არჩილ გორდულაძე.

**მოწვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

**დღის წესრიგი:**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე. **საკრ.№12-032326258-03 19/09/23**
2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **საკრ.№12-032326370-03 20/09/23**
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **საკრ.№12-032326370-03 20/09/23**
4. „ქალაქ თბილისში, ივერიის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.005.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032325039-03 07/09/23**
5. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032325039-03 07/09/23**
6. „ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124.05.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. “**საკრ.№12-032325039-03 07/09/23**
7. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032325039-03 07/09/23**
8. „ ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.08.501 და N01.19.20.020.085.11.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032325039-03 07/09/23**
9. ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2633 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-03232433-03 31/08/23**
10. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-03232432-03 31/08/23**



11. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“  
**საკრ.№12-03232471-03 04/09/23**
12. ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032325019-03 07/09/23; №12-032326384-03 21/09/23**
13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032324974-03 06/09/23**
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/ნ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.20.09.2023; 12-032326360-03**
15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.  
**საკრ.№12-03232472-03 04/09/23**
16. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ: 01019019078) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032324330-03 31/08/23**
17. ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ: 01024015000) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032326381-03 20/09/23**
18. ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/ნ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.  
**საკრ.№12-032326381-03 20/09/23**
19. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032326376-03 20/09/23**
20. ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მიკრო რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032326377-03 20/09/23**
21. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარ 26“-ისთვის (ს/ნ: 405172156) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ. № 12-032326367-03 20.09.23**
22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე . **საკრ. №12-032326375-03 20.09.2023**
23. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პალერმოსთვის“ (ს/ნ: 406238450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032326368-03 20/09/23**



24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032326361-03 20/09/23**
25. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34-ში არსებული 50.99 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032326363-03 20/09/23**
26. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-032326363-03 20/09/23**
27. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე Nბს-193 (2კ-21)) აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში არსებული 67.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032326365-03 20/09/23**
28. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N154-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **(06.04.2023; 12-032309658-03; 20.09.2023; 17-032326323-03)**
29. ქ. თბილისში, იუმაშვიის ქ. N14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1“-ისთვის (ს/ნ: 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032326369-03 20/09/23**

### **დღის წესრიგი დამტკიცდა.**

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები 9 459,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გრანტების ნაწილში უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 130,0 ათასი ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 9 459,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 833 083,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 5 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 600,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 485,5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები



- 4 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 453,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 600,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 210,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 1 050,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 1 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 295,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 400,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 280,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 250,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 430,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 219,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 70,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 45,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 60,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 195,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 300,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 55,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 140,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) - 200,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 255,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 000,0 ათასი ლარით, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 100,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) - 10,2 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 3 680,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 240,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) - 15,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 50,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) - 17,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 15,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 545,5 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 355,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 10,2 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) - 3 551,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 690,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 17,0



ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 660,3 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 1 920,6 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 6 631,5 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (10 48) - 6 000,0 ათასი.

#### **მომხრე-8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**ლევან მიქავას მოხსენებით, „კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 18) მესამე კვარტალიდან 300 000 ლარის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.**

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება ნაძალადევის რაიონში“ (პროგრამული კოდი 05 01 09) მესამე კვარტალს ემატება 90 000 ლარი მეოთხე კვარტლიდან.

ქალაქ თბილისის საკრებულო (პროგ/კოდი 10 01), შრომის ანაზრაურების მუხლში, მესამე კვარტალს ემატება 334 500 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.

საერთო ჯამში გადასახდელები, მესამე კვარტლის გეგმა იზრდება 124 500 ლარით, მეოთხე კვარტლის შესაბამისად შემცირებით, რაც ბალანსდება ნაშთის ცვლილებით.

#### **მომხრე-8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვ მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

**მოისმინეს:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში. კერძოდ, მითითებული დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულის მიერ სააუქციონო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო აუქციონის შედეგების გაუქმებისას, არაუგვიანეს შედეგების გაუქმებიდან 10 კალენდარული დღისა, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური.

მომხსენებლის განმარტებით, პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ აუქციონის შედეგების გაუქმების შემთხვევაში, მომსახურების საფასურს აუქციონში გამარჯვებული პირები არ იხდიან, ხოლო სააგენტოს



აღნიშნული თანხის გადახდევინებისთვის რაიმე ქმედითი ბერკეტი არ გააჩნია. ერთადერთი გზა სასამართლოსთვის მიმართა და თითოეული პირისთვის მომსახურების საფასურის თანხის დაკისრების მოთხოვნა, თუმცა თანხის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, პრაქტიკულად, დავა სასამართლოშიც არ გრძელდება. შესაბამისად, მითითებული ნორმა არა ქმედითია და პრაქტიკაში მისი აღსრულება ვერ ხდება, რის გამოც, მიზანშეწონილია მისი დადგენილებიდან ამოღება.

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ივერიის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.005.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ივერიის ქუჩა N9-ში, პირველ სართულზე არსებული 42.78 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.005.01.527) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინა თურნავას (პ/ნ 26001014853), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მარინა თურნავა ოჯახთან ერთად 30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N2-ში, პირველ სართულზე არსებული 40.90 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: კოდი: N01.19.16.002.174.01.510) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამილა პარუნაშვილს (პ/ნ 01011068455)

შსს-ს ცნობით დგინდება, რომ თამილა პარუნაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ თამილა პარუნაშვილი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124.05.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში, პირველ სართულზე, შენობა N5-ში არსებული 6.46 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124.05.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინა ქობალიას (პ/ნ 48001024039) დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ თინა ქობალია ნამდვილა ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ თინა ქობალია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**



**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში, პირველ სართულზე არსებული 26.85 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევან ტატანაშვილს (პ/ნ 01108066456), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ლევან ტატანაშვილი 2007 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.08.501 და N01.19.20.020.085.11.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში, პირველ სართულზე, შენობა N8-ში, არსებული 45.42 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.08.501) და პირველ სართულზე არსებული 8.64 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.11.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინა ხუდოიანს (პ/ნ 01013018106) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მარინა ხუდოიანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 10 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მარინა ხუდოიანი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2012 წლიდან.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2633 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის წერილობითი მომართვა, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.18.009.936 (ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.18.009.920) და N01.10.18.009.164 საკადასტრო ერთეულების საზღვრების კორექტირების საკითხის განხილვა, რადგან საჯარო რეესტრში წარდგენილია თამაზ ლომიძის (პ/ნ: 01024018529) N882021481723 სარეგისტრაციო განცხადება, ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 1155 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. აღნიშნული მოქალაქის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ერთდღერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ზედდება. ამასთან, მითითებულ სარეგისტრაციო წარმოებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობა დახასიათება , საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილი და უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმით იდენტიფიკაციის დადასტურებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.10.18.009.936 (ნაკვეთის წინა ნომერი: 01.10.18.009.920) და N01.10.18.009.164 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც არ ითვალისწინებს განცხადებით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის მსგავსი კონფიგურაციით რეგისტრაციას და დანიშნულებით განვითარებას. გარდა ამისა, დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მითითებული



უძრავი ქონების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი გამწვანებულია და წარმოადგენს მიმდებარედ არსებულ კორპუსებთან მისასვლელ გზას. ვინაიდან, სააგენტოს მიერ წერილით თამაზ ლომიძისთვის, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის (დროებითი საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.217) რეგისტრაციაზე უარის თქმის სანაცვლოდ შეთავაზებულ იქნა ქ. თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2633 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089). სააგენტოში წარმოდგენილია მისი განცხადება, რომლითაც თანხმობას აცხადებს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის (დროებითი საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.217) რეგისტრაციაზე უარის თქმის სანაცვლოდ N01.16.08.001.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადმოცემაზე. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089) საბაზრო ღირებულება 9 972 ლარით აღემატება თამაზ ლომიძის (პ/ნ: 01024018529) მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის (დროებითი საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.217) საბაზრო ღირებულებას საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 9 972 ლარი.

**მომხრე- 7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ და მიხეილ კაკაურიძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები (საერთო ჯამში 108,53 კვმ ფართი) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ნინო ძარღუაშვილი (პ/ნ 01019088908) დაკავებული ფართი - 19.82 კვ.მ; თეა ხორგუაშვილი (პ/ნ 01019063188) დაკავებული ფართი - 25.22 კვ.მ; მადონა თიგიშვილი (პ/ნ 01019055548) დაკავებული ფართი - 23.76 კვ.მ; ანა რევაზიშვილი (პ/ნ 01119089609) დაკავებული ფართი - 19.45 კვ.მ; ნათია მჭედლიშვილი (პ/ნ 01019068657) დაკავებული ფართი - 20.28 კვ.მ.

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამას.

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდს“, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შპს "ბკ ქონსტრაქშენს" ს/ნ 404537809 შორის, 2023 წლის 04 ივლისს გაფორმებული №23-07-80 ხელშეკრულების თანახმად, მისამართზე: ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N18-ში (მიწის საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) არსებული 3 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და მის ნაცვლად 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელდება. ახალი საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე მოეწყობა 4 ერთეული კომერციული ფართი, ჯამური ფართით: 433,7 კვ.მ, ხოლო II-X სართულების ჩათვლით 95 ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური ფართით: 4623,6 კვ.მ. 29 ერთეული საცხოვრებელი ბინა



(ჯამური კვადრატული: 1397.7 კვ.მ გარემონტებული მდგომარეობით გადაეცემა მესაკუთრებს; 56 ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური კვადრატული: 2809.1 კვ.მ და 3 ერთეული კომერციული ფართი, ჯამური კვადრატული: 383.6 კვ.მ , თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, რეგისტრირებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშსწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომში მიმწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშსწორების მიზნით, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად. 10 ერთეული საცხოვრებელი ბინა ჯამური ფართით 416.8 კვ.მ და 1 (ერთი) ერთეული კომერციული ფართი ჯამური ფართით 50.1 კვ.მ რჩება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად. ამასთან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმდა სამშენებლო პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალ მშენებარე კორპუსში სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულია საცხოვრებელი ბინისა და კომერციული ფართის 1 კვ.მ (თეთრი კარკასის მდგომარეობით) . თითოეული ქონების ჯამური ფასი დაანგარიშდება 1 კვ.მ. საბაზრო ღირებულების ჯამურ კვადრატულობაზე გადამრავლებით ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშსწორება განხორციელდება ფულით ან/და ნატურით, როგორც უნაღდო ანგარიშსწორების გზით, თანხის ჩარიცხვით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტზე, ისე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 56 ერთეული ბინებით, და 3 ერთეული კომერციული ფართის მიმწოდებლის საკუთრებაში გადაცემის გზით. დასაშვებია მშენებარე სტატუსით რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულების ჩართვა ნატურით ანგარიშსწორებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქონების განკარგვაზე უფლებამოსილია სსიპ ქონების მართვის სააგენტო.

შესთანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს N23.1259.1409 განკარგულების დანართით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

#### **მომხრე- 8 თავი შეიკავა- მიხეილ კაკაურიძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის (ს/ნ: 204874911) აღმასრულებელმა დირექტორმა, წერილით მომართა ქალაქ თბილისის მერს, ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) სარაგბო ინფრასტრუქტურის მოწყობის სურვილით. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში დამატებით წარმოდგენილი წერილის თანახმად, საქართველოს რაგბის კავშირი იღებს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2027 წლის 31 იანვრისა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მოაწყოს 2000 მაყურებელზე გათვლილი სარაგბო ინფრასტრუქტურა.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთების განკარგვა, სარაგბო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. საკითხთან დაკავშირებით, ასევე დადებითი პოზიცია გამოხატა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა სააგენტოში წარდგენილი წერილით.

ამ განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი უძრავი ქონების საქართველოს რაგბის კავშირისთვის საპრივატიზებო პირობებით საკუთრებაში გადაცემა, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად.

#### **მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**



**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონალური საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის (ს.ს.ნ.) 2004 წლის 18 ოქტომბრის N001/2 ორდერით ზაზა ზაუტაშვილს, ქეთევან ზაუტაშვილს, ვახტანგ ზაუტაშვილს და მარიამ ზაუტაშვილს, გამოეყოთ კალოუბნის ქუჩა ს/ქ.3, კორპუსი 115, ბინა N2, ორი ოთახი ფართით 34.0 კვ.მ. აღნიშნული ფართით, რომელიც მდებარეობს N01.19.19.005.209 (ძველი საკადასტრო კოდი: 01.19.19.005.204) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში წლების განმავლობაში განმცხადებლებს დაკავებული აქვთ ოჯახთან ერთად. მოქალაქეები თავინათ განცხადებაში, რომლითაც მომართეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აღნიშნავენ, რომ მათთვის ცნობილი გახდა, რომ ტერიტორიაზე იგეგმება დასასვენებელი სივრცის - სკვერის მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.12.12.001.407.01.01.004, N01.12.12.001.407.01.01.006 და N01.19.39.029.046.01.02.052 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების შემთხვევაში, უარს აცხადებენ შემოადნიშნული ორდერებით განსაზღვრულ ფართზე, ასევე ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და აღნიშნულ უფლებას უსასყიდლოდ უთმობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებლების მიერ მომზადებული საკადასტრო ნახაზების მიხედვით, მათ ფაქტობრივად დაკავებული აქვთ მეტი ფართი, ვიდრე ეს ორდერებით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, კახა მორალიძვილს ოჯახთან ერთად დაკავებული აქვს 94.53 კვ.მ, ხოლო ზაზა ზაუტაშვილს ოჯახთან ერთად - 77.52 კვ.მ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის წერილის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.19.005.204 განთავსებულია შენობა გ.გ 115 (ორ ბინიანი კოტეჯი) სადაც ბინა N1 დაკავებული აქვს მოქალაქე კახა მოლარიძვილს (პ.ნ 35001020229) ოჯახის წევრებთან ერთად, ხოლო ბინა N2 დაკავებული აქვს მოქალაქე ზაზა ზაუტაშვილს (პ.ნ 01027033406) ოჯახის წევრებთან ერთად.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, შემოადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ წერილით ეთხოვა პოზიცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, ტერიტორიაზე სკვერის მოწყობისა და აღნიშნული უძრავი ქონების საჭიროების შესახებ. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის თანახმად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და შპს „უნივერსალ პროექტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე (ს.კ.: 01.19.19.005.209) რეკრეაციული სივრცის მოწყობის პროექტირება. ვინაიდან, მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია პარკის მოწყობა, სამსახური თანახმაა განხორციელებდეს ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების ადგილმონაცვლეობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, ქალაქის განვითარების პროცესში, პრიორიტეტულია დაადგინოს და დაარეგულიროს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნა, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და განვითარება, ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა.

შემოადნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს შესათანხმებლად წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებების ზაზა ზაუტაშვილის (პ/ნ 01027033406) და მარიამ ზაუტაშვილისთვის (პ/ნ 01027033407) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხი და აღნიშნულ პირთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად:

ქალაქი თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟი N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ. ნინუა, N3, სართული 1, ბინა N4, ფართი (მშენებარე): 69.50 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.407.01.01.004);

ქალაქი თბილისი, ქუჩა ტრიკოტაჟი, N3; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვ. ნინუა N3, სართული1, ბინა N6, ფართი (მშენებარე): 79.10 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.407.01.01.006)

3. ქალაქი თბილისი, ქუჩა სუხიშვილი N7, სართული 9, ბინა N52, ბლოკი „ბ“, ფართი (მშენებარე): 33.40 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.19.39.029.046.01.02.052).



**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/ნ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე .

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 23 აპრილს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-582-1-26243 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერტი“, ს/კ: 404605094) შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულება“, რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. აუქციონის შედეგების შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 1 526 632 ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია.

ხელშეკრულებით განსაზღვრულია შემდეგი პირობები:

- №01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს არსებული დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;
- პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 7000 კვ.მ საცხოვრებელი ფართის, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, გადაცემა, №01.16.03.058.062 საკადასტრო ერთეულის საზღვრებში.

შესაბამისად, ხელშეკრულებით მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს პრივატიზებული ქონების საზღვრებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის თეთრი კარკასის მდგომარეობაში გადაცემა 2024 წლის 29 აპრილამდე.

განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, პრივატიზებული ქონება დაიყო №01.16.03.058.076, №01.16.03.058.077, №01.16.03.058.078, №01.16.03.058.079, №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულებად. შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს 2022 წლის წერილით, მყიდველს მიეცა თანხმობა მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართების თეთრი კარკასის მდგომარეობაში გადმოცემა განხორციელდეს №01.16.03.058.078, №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან თანაბარწილად - თითოეულიდან 1 400 კვ.მ.-ის ოდენობით. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაგეგმილია მხოლოდ №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, №01.16.03.058.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე კი გათვალისწინებულია სასტუმროს მშენებლობა და აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსება დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, №01.16.03.058.078 საკადასტრო ერთეულის ფარგლებში საცხოვრებელი ფართების გადმოცემა ვერ განხორციელდება და მათი გადმოცემა უნდა განხორციელდეს ლოტებზე (№01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულები) მშენებარე შენობა-ნაგებობებიდან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მყიდველის მიერ მშენებლობის ნებართვები მოპოვებულია ყველა ლოტზე, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია მხოლოდ ორ მათგანზე - №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. რაც შეეხება სხვა ლოტებს, მათზე მშენებლობის დაწყებას აფერხებს ფიზიკურ პირთა მიერ თვითნებურად/შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ტერიტორიის დაკავების ფაქტი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების



შესრულებისათვის, მყიდველი ითხოვს დახმარებას აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებების წარმოების პროცესში. კერძოდ, მყიდველი ითხოვს თანხმობას, რომ აღნიშნულ პირთა დაკმაყოფილება მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართებიდან.

მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად მოიაზრება: ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები, ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. აღნიშნულ პირთა მონაცემები, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული და მათთვის გადასაცემი ფართები საჭიროებს დაზუსტებას, რის გამოც, დაზუსტებული ინფორმაცია მყიდველს წარედგინება შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდგომ, სააგენტოს მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. ასევე, აღნიშნული პირები გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს. ზემოაღნიშნული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართებიდან, ის ნაწილი, რომლებიც არ გადაეცემა მესაკუთრეებსა და მფლობელებს, ასევე ის ფართები, რომელთა მიმღები პირებიც (მესაკუთრეები/მფლობელები) უარს იტყვიან შესაბამისი პირობებით ქონების მიღებაზე, გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა ლოტზე მშენებლობის დასრულებისა და შესაბამისი პირების (მათ შორის მუნიციპალიტეტის) ფართებით დაკმაყოფილების მიზნით, მყიდველის მიერ მოთხოვნილია ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა კერძოდ, ფართების გადმოცემისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გაზრდა ერთი წლით - არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა. ლოტებიდან 7 000 კვ.მ. ფართების შესაბამისი პირებისათვის გადმოცემა მოხდება შემდეგი სახით: №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდით არსებული ლოტიდან - არანაკლებ 2 200 კვ.მ.-ის ოდენობით, №01.16.03.058.082 საკადასტრო კოდით არსებული ლოტიდან - არანაკლებ 1 300 კვ.მ.-ის ოდენობით, ხოლო №01.16.03.058.080 და №01.16.03.058.081 საკადასტრო კოდებით არსებული ლოტებიდან - თანაბარწილად, თითოეული ლოტიდან არანაკლებ 1 750 კვ.მ.-ის ოდენობით.

ამასთან, პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით, შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდგომ, მყიდველის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში, თითოეულ ლოტზე არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული სამშენებლო პროექტის/პროექტების ფარგლებში წარმოქმნილი შესაბამისი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (შესაბამისი ლოტიდან ხელშეკრულების ფარგლებში გადმოსაცემი ფართების გამოკლებით) არაუმეტეს 30%-ზე სააგენტოს წერილობითი თანხმობით გაუქმდება საპრივატიზებო პირობის რეგისტრაცია. ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც საცხოვრებელი დანიშნულების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არ ხორციელდება, საპრივატიზებო ვალდებულებებისგან გათავისუფლდება მყიდველის მიერ ვალდებულებების სრულად შესრულების შემდგომ.

#### **მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აღმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის



მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს დაიდო ხელშეკრულება „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, კომპანიას გადაეცა ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე აღნაგობის ფორმით სარგებლობის უფლება, მასზე 15 ერთეული ფეხით გადასასვლელი ხიდის მშენებლობის მიზნით. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საფასური შეადგენს 2 000 ლარს, რაც კომპანიის მიერ გადახდილია.

ხელშეკრულებით კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- ნებისმიერი 5 (ხუთი) ხიდის მშენებლობის ნებართვის მოპოვება აღნაგობის უფლების წარმოშობიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში, ხოლო დანარჩენი 10 (ათი) ხიდის მშენებლობის უფლების მოპოვება - აღნაგობის უფლების წარმოშობიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში (5.1.2 ქვეპუნქტი);
  - გადაცემულ ქონებაზე არსებული ხიდების დემონტაჟი, ახალი ხიდების მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება - შესაბამის ქონებაზე აღნაგობის უფლების წარმოშობიდან 3 (სამი) წლის ვადაში (5.1.3 ქვეპუნქტი);
  - ხიდების მშენებლობის მიზნით, 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტირება (4.1 პუნქტი);
- თითოეული ხიდის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, 25 წლის განმავლობაში, კომპანია უფლებამოსილია ამ ხიდებზე შექმნილ სარეკლამო აბრეშუე განათავსოს გარე რეკლამები.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილ იქნა სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ: 204378869) მიერ გაცემული 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების დანართი №1-ის №1-4 პუნქტებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე აღნაგობის უფლება წარმოიშობა 2023 წლის 09 ივლისიდან, ხოლო დანართი №1-ის №5-15 პუნქტებით გათვალისწინებულ (დანარჩენ) ქონებაზე - უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღიდან. ხელშეკრულების დანართი №1-ის №5-15 პუნქტებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე აღნაგობის უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 26.06.2020-09.07.2020 წწ. პერიოდში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ათვლაც ხორციელდება აღნიშნული პერიოდიდან - თითოეულ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად. შესაბამისად, ხელშეკრულების დანართი №1-ის №1-4 პუნქტებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ხიდების განთავსების ვადას წარმოადგენს 2026 წლის 09 ივლისი, ხოლო დანარჩენ ქონებაზე - 26.06.2023-09.07.2023 წწ. პერიოდი.

ხელშეკრულების დანართი №1-ის №5-15 პუნქტებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე 11 ხიდის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვალდებულების შესრულება მყიდველს დაუდასტურდა, რაც შეეხება ხელშეკრულების დანართი №1-ის №1-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე განსათავსებელ ოთხ ხიდს, მათზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადას წარმოადგენს 2025 წლის 09 ივლისი.

კომპანიის მიერ განცხადებით სააგენტოში წარდგენილ იქნა მოთხოვნა ხელშეკრულებაში რიგი ცვლილებების შეტანის თაობაზე. კერძოდ,

- ხელშეკრულების დანართი №1-ის №11 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე ხიდის მშენებლობის დასრულების ვადა გაიზარდოს 2024 წლის 29 თებერვლამდე;
- ხელშეკრულების დანართი №1-ის №2, №10, №12 და №14 პუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე ხიდების მშენებლობის დასრულების ვადა გაიზარდოს 2024 წლის 31 დეკემბრამდე;



- დანარჩენი 10 ხიდის მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვროს 2025 წლის 09 ივლისი;
- ხიდების ექსპლუატაციაში მიღება მოხდება მათი მშენებლობის დასრულებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში (თუმცა, მხარეთა შორის კომუნიკაციის შედეგად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტით, აღნიშნული ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2025 წლის 30 მარტისა);

ხიდების ექსპლუატაციაში მიღებამდე, მათი განთავსების თაობაზე წარმოდგენილი იქნება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებული სხვა პირის მიერ მომზადებული დასკვნა. მომხსენებელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების მოთხოვნის საფუძველად, კომპანია მიუთითებს Covid-19 პანდემიით გამოწვეულ გარემოებებს. მათი განცხადებით, ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდა პანდემიის ადრეულ ეტაპზე, რის შემდგომაც სარეკლამო ბიზნესმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები: ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან მოხდა სარეკლამო ბიუჯეტის მკვეთრი შემცირება, რის გამოც, ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში არსებულ პარამეტრებზე დაბრუნება ივარაუდება მხოლოდ 2025 წლისთვის. გარდა ამისა, კომპანია მიუთითებს რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მოქმედებების შედეგად სამშენებლო მასალებისა (მათ შორის, მეტალის) და სხვა სამუშაოებზე ფასების მკვეთრი ზრდის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროექტის სრულად განხორციელებისთვის საჭირო დანახარჯების ოდენობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია აცხადებს მზადყოფნას პროექტი განახორციელოს შეცვლილ ვალებში: 10 ხიდზე გაიზრდება მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების ვალები, ხოლო 4 ხიდის მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების ვალები შემცირდება. ამასთან, პროექტის საინვესტიციო მოცულობა დარჩება უცვლელი. კომპანია, ასევე, ითხოვს ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს არ დაკისრებას / გათავისუფლებას.

შემოთავაზებული ხელშეკრულების პროექტით, შეთანხმების გაფორმების შემდგომ სააგენტო მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, აღნაგობის უფლების საფასურის გადაანგარიშების მოთხოვნით. თუ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგინდება, ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, აღნაგობის უფლების საფასურის გაზრდილი ოდენობა, კომპანია სააგენტოს გადაუხდის შესაბამის სხვაობას, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, კომპანია წინასწარ უარს აცხადებს ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, თუ აღნიშნული დასკვნით დადგინდება აღნაგობის უფლების საფასურის შემცირებული ოდენობა. ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულების დანართი №1-ის №1-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე ხიდების მშენებლობის ვალები მცირდება, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ერთი წლით შემცირდება ამ ხიდების მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის განსაზღვრული ვალებიც.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:**ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ: 01019019078) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით მიმართეს ვერა დაბრუნდაშვილმა (პ/ნ: 01019019078) და დალი დაბრუნდაშვილმა (პ/ნ: 01019009496) და ითხოვეს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული პირები საკუთრების უფლებით ფლობენ დავით აღმაშენებლის გამზ. N12-ში მდებარე ფართებს (ს/კ: N01.16.05.033.003.01.511; 01.16.05.033.003.01.512).



დაინტერესებაში არსებულ 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 05.07.2023წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, ეს სამსახური ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო/საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ: 01019019078) იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6960 ლარის ოდენობით.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- მიხეილ კაკაურიძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ: 01024015000) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თამაზ შეროზიას (პ/ნ: 01024015000) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009) , კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე კიბის უჯრედის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. მათი წერილობითი პოზიციით თანხმობას აცხადებენ მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავენ, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება თამაზ შეროზიასთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009), 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 1 296 ლარით.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- მიხეილ კაკაურიძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/ნ: 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის ბრძანების საფუძველზე, , „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კ.მ ფართი საკადასტრო კოდი: 01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლს“ (ს/კ: 205270570 ) 2 (ორი) წლის ვადით, ფსიქოლოგიური მომსახურების განთავსების მიზნით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლის“ (ს/ნ: 205270570) ხელმძღვანელმა 2023 წლის 6 სექტემბრის განცხადებით მიმართა სააგენტოს და



ითხოვა „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.16.06.006.008.01.506) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, ფსიქოლოგიური ცენტრის ფუნქციონირების მიზნით იგივე პირობებით.

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** თანხმობის მისარბად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N23.1377.1498 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებული 2 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 226 150 (ორას ოცდაექვსი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, პრივატიზება, შპს „ტერა ბილდინგის Terra building“ (ს/ნ: 405004301) საკუთრებაში ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1505 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.14.12.003.136) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მიკრო რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** შესათანხმებლად წარმოდგენილია, „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N23.1384.1491 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონში არსებული 5310 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (119 430 ლარი) პრივატიზება, თამთა ტაბატაძის (პ/ნ: 57001021120) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გიული ჭოხონელიძის ქუჩა N12-ში არსებული 2100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.022.103) მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

**მომხრე- 7 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით**



**მოისმინეს:** „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.032.024) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთისპირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარ 26“-ისთვის (ს/ნ: 405172156) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“  
**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მომართა შპს „ბარ 26“-ის (ს/ნ: 405172156) წარმომადგენელმა და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2027 წლის 23 ივლისამდე. კომპანია იჯარით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N49/გიორგი მაზნიაშვილის ქ. N2-ში მდებარე ფართს (ს/კ: 01.16.05.014.001.01.556), ზემოაღნიშნული ვადით.

დაინტერესებაში არსებულ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 13.07.2023წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბარ 26“-ისთვის (ს/ნ: 405172156)) იჯარით გადაცემის საკითხი, 2027 წლის 23 ივლისამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 8880 ლარის ოდენობით.

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ტანხმობის მისაღებად წარმოდგენილია „შპს „საკაქე 2024“-ისთვის (ს/ნ 406425024) ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (ს/კ: 01.10.13.015.112) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N23.1390.1544 განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

საპრივატიზებო პირობებია : ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართები ქონების მიმღები პირის მიერ საკუთრებაში უნდა გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის N23.828.918 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირთა ნაწილს, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის N23.828.918 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირთათვის გადაცემამდე, ქონების მიმღებს უკრძალება აღნიშნული ფართების ნებისმიერი ფორმით განკარგვა (მათ შორის, რაიმე სახის წინარე ხელშეკრულების დადების გზით) ან/და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის იპოთეკით დატვირთვა);

ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 ივნისის N23.828.918 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირებს ქონების მიმღები პირის მიერ საკუთრებაში უნდა გადაეცეთ მათთვის გადასაცემი ფართების პროპორციულად, მაქსიმალურად მიახლოებული მოცულობით.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს



„პალერმოსთვის“ (ს/ნ: 406238450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით**, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მომართა შპს „პალერმოს“ (ს/ნ: 406238450) დირექტორმა და ითხოვა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 01.01.2029 წლამდე. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N38-ში მდებარე ფართს (ს/კ: 01.16.05.025.005.01.509), 01.01.2029 წლამდე.

დაინტერესებაში არსებულ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მაგიდა და სკამები ქოთნების გარეშე.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, ეს სამსახური ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „პალერმოსთვის“ (ს/ნ: 406238450) იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6000 ლარის ოდენობით.

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული 13390 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.19.39.002.091 და ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებული 4853 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.19.39.002.092).

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები, დღეის მდგომარეობით, გაერთიანებულია ერთ საკადასტრო ერთეულად (ს/კ N01.19.39.002.355).

ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, პრივატიზებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის N19.967.1235 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 სექტემბრის N291



განკარგულების საფუძველზე, განხორციელებული ცვლილების შედეგად, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3.1. პრივატიზებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში“.

გარდა ამისა, ამავე განკარგულებების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ს/ნ: 201990079), ასევე გათავისუფლდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრულია ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დარიცხვაც გრძელდება ამ საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

ქონების შემდენმა ითხოვა, ხელშეკრულების 3.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების დადასტურება და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თარიღისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, ვინაიდან ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა გამოწვეული იყო ფედერაციისაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზებით, კერძოდ, ვინაიდან, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე, საჭირო გახდა შეთანხმებული პროექტის კორექტირება და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ხელახლა შეთანხმება, შესაბამისად, აღნიშნულმა ასევე გამოიწვია ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხის შეფერხება.

ქონების შემდენს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის თანახმად 2020 წლის 20 აპრილიდან - 2022 წლის 19 სექტემბრამდე პერიოდზე (ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე) ეკისრება პირგასამტეხლო - ჯამში 88 200.00 ლარის ოდენობით.

მომხსენებელის განმარტებით, ვინაიდან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 15 აგვისტოს N005751423 ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.39.002.355) უზრუნველყოფილია ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) და ერთი მინი საფეხბურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა, რომელიც მიღებულია ექსპლუატაციაში 2022 წლის 19 სექტემბერს, რასაც ასევე ბრძანებით ადასტურებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, რომლის თანახმად, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი N425-ის მიმდებარედ (ს/კ N01.19.39.002.355) სანაბართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ორი სპორტული მოედანი, სამაყურებლო ტრიბუნა, განათების ანძები, დამხმარე შენობა, საზ. ტუალეტი), შესაბამისად, დასტურდება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება. აღნიშნული ვალდებულების შესრულება, წინამდებარე პრექტის მოწონების შემდგომ, ხელშეკრულების 5.14 ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს მიერ დადასტურდება ინდივიდუალურ აღმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი



ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის N23.1366.1529 განკარგულების გათვალისწინებით, 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 მუხლის 6.3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 20 აპრილიდან - 2022 წლის 19 სექტემბრამდე პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან (ჯამში - 88 200.00 ლარის ოდენობით), ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხი

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34-ში არსებული 50.99 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34, სართული 1, ბინა N2-ში არსებული 50.99 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს მარიამი არაბულს (პ/ნ: 01011013986) და დავით არაბულს (პ/ნ: 01011092309).

შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ მოქალაქეები 1992 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე;

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა 3 პირს (ოჯახს). მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 70.71 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ლარისა კვიციანი (პ/ნ: 30001002305) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;

მოქალაქე გაბრიელ ონიანი (პ/ნ: 01010005238) 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;

მოქალაქე მარინე მემანიშვილი (პ/ნ: 21001037021) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

**მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე Nბს-193 (2კ-21)) აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში არსებული 67.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“



ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილებით, იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34, სართული 1-ზე არსებული 67.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ქსენია გაბისონიას (პ/ნ: 12001060696) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ქსენია გაბისონია (პ/ნ: 12001060696) ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული უძრავი ქონებით, თუმცა დღეის მდგომარეობით, მოქალაქე ქსენია გაბისონი (პ/ნ: 12001060696) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ცხოვრობს ნათესავთან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 22 აპრილს N5/21761 წერილით, წარედგინა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდა ქსენია გაბისონიას საკასაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის წერილის ბათილად ცნობის შესახებ და სახელმწიფო ქონების სააგენტოს დაევალა ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა N30-ში პირველ სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართის ქსენია გაბისონიასთვის საკუთრებაში გადაცემა, კანონით დადგენილი წესით.

წარმოდგენილი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში, ყოფილი სტალინის, ამაჟამად იუნკერების ქ. N30 ში მდებარე სადავო უძრავი ქონება დარეგისტრირებულ იქნა სახელმწიფოს საკუთრებად. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონება ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა. „კოჯორში, წყნეთსა და ოქროყანაში მდებარე განსაზღვრული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 დეკემბრის N33.34.1192 დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 31 იანვარს ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ქსენია გაბისონიას შორის გაფორმდა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქ. N30-ში, I სართულზე არსებული 67.83 კვ.მ ფართობის ბინა (ს/კ N81.01.05.498.01.501), შესაბამის წილობრივ მიწის ნაკვეთთან ერთად. „ხანგრძლივ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის გარკვეული დადგენილებების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების და აღნიშნული დადგენილებების საფუძველზე გაფორმებული გარკვეული ნასყიდობის ხელშეკრულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 02 აპრილის N12.16.369 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 04 დეკემბრის N33.34.1192 დადგენილება და N81.01.05.498.01.501 ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების მიტოვების საფუძველზე აღდგა სახელმწიფოს საკუთრების უფლება. ამასთან, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საწყის ეტაპზე მოსარჩელეს შეეთავაზა სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების შეცვლა და სარჩელის ახლებურად ფორმულირებისათვის მიეცა გარკვეული დრო. 2019 წლის 20 დეკემბერს ქსენია გაბისონიას წარმომადგენლებმა მოთხოვნის ტრანსფორმირების შესახებ განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ნაცვლად სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ქსენია გაბისონიასათვის პირდაპირი მიყიდვით საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკითხის მთავრობის სხდომაზე განსახილველად მომზადებისა და წარდგენის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისა, მოითხოვეს ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 02 აპრილის N12.16.369 დადგენილების ბათილად ცნობა. ასევე, მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმეში მესამე პირად ჩაბმა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან



მოსარჩელის მიერ სარჩელის მსგავსი ტრანსფორმირება გამოიწვევდა დავის გაჭიანურებას, აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის მიზნის მხედველობაში მიღებით იმსჯელა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 29 დეკემბრის წერილისა და მასზე წარდგენილი აღმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივნისის N1-1/254 ბრძანების კანონიერებაზე, ასევე მოპასუხე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სადავო უძრავი ქონების მოსარჩელე ქსენია გაბისონიასათვის საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით გადაცემის დავალებაზე.

ზემოხსენებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის საბოლოო იურიდიული მიზანი უკავშირდება ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა N30-ში პირველ სართულზე არსებულ 67.83 კვ.მ. ფართზე საკუთრების უფლების მოპოვება.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 24 ივლისის წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის N10-01232052002 წერილი, რომლითაც გადმოგზავნილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 5 ივლისის საქმე Nბს-193 (2კ-21) განჩინება. აღნიშნული განჩინების საფუძველზე, უზენაესმა სასამართლომ ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34, სართული 1-ზე არსებული 67.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) მოქალაქე ქსენია გაბისონიას (პ/ნ: 12001060696) საკუთრებაში კანონით დადგენილი წესით გადაცემის ნაწილში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, შემუშავდა ზემოაღნიშნული პროექტი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად გადაცემის საკითხის დაკმაყოფილებას.

#### **მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N154-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N154-ში არსებული 36.58 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.020.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლია სამხარაძეს (პ/ნ 01007003557), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. ამასთან, გამგეობის წერილში ასევე აღნიშნულია რომ ლია სამხარაძე ამჟამად არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რადგან ობიექტში არ იყო საყოფაცხოვრებო პირობები. დამატებით აღსანიშნავია, რომ ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ლია სამხარაძის ოჯახს დღემდე უფინანსებს ბინის ქირის საკომპენსაციო თანხას.

შსს-ს ცნობით დადასტურდა, რომ ლია სამხარაძე წლების განმავლობაში სარგებლობდა აღნიშნული ფართით. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ლია სამხარაძე 1993 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

#### **მომხრე- 8 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

**მოისმინეს:** ქ. თბილისში, იუმაშვილის ქ. N14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1“-ისთვის (ს/ნ: 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით გადმოგზავნილია აღნიშნულ უწყებაში წარდგენილი სს „ლილო 1“-ის (ს/კ: 206268741) წერილები, რომლითაც ითხოვა ქ. თბილისში, იუმაშვილის ქ. N14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.26.004.151) იჯარით, განმეორებით გადაცემა, 10 წლით. თბილისის მერიაში



დაატებით წარმოდგენილია კომპანიის წერილი, სადაც განმარტავს, რომ იჯარით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი ესაზღვრება კომპანიის ტერმინალის ტერიტორიას, სადაც ხდება სარკინიგზო ტვირთების მიღება-ტრანსპორტირება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ხაზოვანი ობიექტები (სარკინიგზო ჩიხი - ს/კ: 01.00.773; 01.00.774), რომლებიც წარმოადგენს ამ კომპანიის საკუთრებას. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იჯარით იყო გადაცემული ამ კომპანიაზე 2011 წელს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით, ათი წლით, მშენებლობის და შემოღობვის უფლების გარეშე.

მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის 10 წლით იჯარით განმეორებით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემა, მშენებლობის და შემოღობვის უფლების გარეშე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 10 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით 4968 ლარის ოდენობით.

**მომხრე- 9.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე